1. დასკვნითი დებულებები

დებულების მოქმედების სფერო
2.1. წინამდებარე დებულება, შემუშავებულია 2004 წლის 21 დეკემბრის “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონისა და თსუ აკადემიური საბჭოს 171-ე დადგენილების შესაბამისად „დოქტორანტურის მიმიმალური სტანდარტის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ" და აწესრიგებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის მოქმედების პრინციპებსა და წესს.
2.2. წინამდებარე დებულებაში დამატებისა და ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის დასმის უფლება აქვს სადისერტაციო საბჭოს ნებისმიერ წევრს. დასაბუთებულ წინადადებას განიხილავს სადისერტაციო საბჭო უახლოეს სხდომაზე და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. დებულებაში შეტანილ ყველა დამატებასა და ცვლილებას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
2.3. წინამდებარე დებულება ძალაში შედის თსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცების დღიდან.